

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო
Supreme Council of Autonomous Republic of Ajara

UNDP

# ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔᲒᲘᲐ 2021-2024

# აჭარის უმაღლესი საბჭოს ინსტიტუციური განვითარების სტრატეგია

# განვითარების ხედვა



# სტრატეგიული მიზნები

კანონშემოქმედებითი პროცესის ეფექტიანობის გაზრდა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელება

ორგანიზაციული სისტემის გაძლიერება

სტრატეგიული მიზანი N1:

## კანონშემოქმედებითი პროცესის ეფექტიანობის გაზრდა

*კანონშემოქმედებითი პროცესი არის მონაწილეობითი და ინკლუზიური, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და რეგიონის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე მორგებული. შედეგად ვიღებთ საჭირო, სამართლიან და თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებულ და სასარგებლო საკანონმდებლო ჩარჩოს.*

1.1. დარგობრივი კომიტეტების მიერ **ყოველწლიურად პრიორიტეტების განსაზღვრა** შესაბამისი მიმართულებით და **სამოქმედო გეგმების შემუშავება** მკაფიოდ განსაზღვრული შეფასების მექანიზმებით.

1.2. აპარატის დაქვემდებარებაში საბჭოს საკანონმდებლო საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით **კვლევითი სამსახურის ჩამოყალიბება**, რომელიც განსაზღვრავს კვლევის სტანდარტს და მეთოდოლოგიას.

1.3. **მოქალაქეთა ჩართულობის** არსებული მექანიზმების გამოყენება და დარგობრივ კომიტეტებს შორის **კოორდინირებული მუშაობის** ხელშეწყობა კანონშემოქმედებითი პროცესის ეფექტიანობის გასაზრდელად.

1.4. კანონშემოქმედებითი პროცესის ეფექტიანობისათვის საბჭოს **წევრებისა და თანამშრომლების გაძლიერება** დარგობრივი მიმართულებებით, მათ შორის, **გენდერულ საკითხებთან** დაკავშირებით.

## სტრატეგიული მიზანი 2:

## აჭარის მთავრობის ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელება

*აჭარის უმაღლესი საბჭო ეფექტიანად ასრულებს საზედამხედველო ფუნქციას, არის ინფორმირებული, თანმიმდევრული და შედეგზე ორიენტირებული მაკონტროლებელი ორგანო. საბჭო ღია მმართველობის პრინციპების დაცვით ეფექტიანად იყენებს არსებულ საზედამხედველო ბერკეტებს შედეგებზე დაფუძნებული პოლიტიკის განსახორციელებლად.*

2.1. უმაღლესი საბჭოს წევრებისთვის საზედამხედველო ბერკეტებისა და თემატური საკითხების შესახებ **შესაძლებლობათა განვითარების პროგრამის** შემუშავება და დანერგვა.

2.2. კომიტეტებში **საზედამხედველო ბერკეტების გამოყენების გააქტიურება**.

2.3. აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ **ბიუჯეტის ზედამხედველობის** ნაწილში **პროგრამული მიმართულებების** შესრულებასა და შედეგებზე აქცენტირება, მათ შორის **გენდერული განზომილების** ანალიზი.

2.4. **მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების** გააქტიურება ისეთ **საზედამხედველო ინსტრუმენტებში**, როგორებიცაა მინისტრის საათი და სადეპუტატო შეკითხვა.

## სტრატეგიული მიზანი N3:
# ორგანიზაციული სისტემის გაძლიერება

*აჭარის უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფილია ძლიერი ორგანიზაციული სისტემებით, აქვს გამართული სტრუქტურა, მკაფიოდ გაწერილი ორგანიზაციული პროცედურები, პროცესები და სათანადო კომპეტენციები, რომლებიც ხელს უწყობს საბჭოს ძირითადი ფუნქციების შესრულებას და ინსტიტუციური მეხსიერების შექმნას.*

3.1. საბჭოში არსებული **ფუნქციებისა და როლების შეფასება** და სტრატეგიაში არსებულ საჭიროებებზე ადაპტირება.

3.2. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი **შიდა ორგანიზაციული პროცესების** აღწერა და ოპტიმიზაცია.

3.3. **ინსტიტუციური მეხსიერების** შენარჩუნებისთვის მკაფიო პროცედურების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს ცოდნის დაგროვებას და გადაცემას ახალი კადრებისა და ახალი მოწვევის დეპუტატებისთვის.

3.4. **ორგანიზაციული სისტემების** და **ორგანიზაციული განვითარების** ხარჯების ასახვა საბჭოს ყოველწლიური **ბიუჯეტის** განსაზღვრისას.

3.5. **გენდერული საბჭოს გაძლიერება** - გენდერული ცნობიერების და მგრძნობელობის გაზრდის მიზნით.

3.6. აჭარის უმაღლეს საბჭოში **ღია მმართველობის პრინციპების მგრძნობელობის გაზრდა** მის შიდა და გარე აქტორებთან პოპულარიზაციის, საბჭოს შიდა პროცესებში ინტეგრირების და პრაქტიკაში დანერგვის გზით.

3.7. **შიდა კომუნიკაციის** და ინფორმაციის მიმოცვლის გაუმჯობესება.

3.8. **ტექნიკური ინფრასტრუქტურის** გაუმჯობესება და დაცული **შიდა საკომუნიკაციო ქსელის** განვითარება.

# აჭარის უმაღლესი საბჭოს საკომუნიკაციო სტრატეგია

# კომუნიკაციის სტრატეგიის სისტემა



# მიზნობრივი აუდიტორია

| საბჭოს წევრები | მოსახლეობა | მედია | სახელწიფო სტრუქტურა | პარტნიორები |
|---|---|---|---|---|
| • უმრავლესობა<br>• ოპოზიცია | • ქალაქის მოსახლეობა<br>• დაბებში მცხოვრები<br>• სოფლად მცხოვრები<br>• სკოლის მოსწავლეები<br>• სტუდენტები<br>• ახალგაზრდები<br>• ზრდასრული მოსახლეობა<br>• ბიზნესი<br>• მოწყვლადი ჯგუფები (ეთნიკური, რელიგიური ჯგუფები, შშმ პირები და ა.შ.) | • ადგილობრივი ტელევიზიები<br>• ცენტრალური ტელევიზიები<br>• ბეჭდური მედია<br>• აჭარის უმაღლესი საბჭოს სოც მედია არხები<br>• სხვა ინტერნეტ მედია | ▪ აჭარის რეგიონული ხელისუფლება<br>▪ მუნიციპალიტეტები<br>▪ ცენტრალური ხელისუფლება<br>▪ საქართველოს პარლამენტი | ▪ CSO-ები<br>▪ დონორები და საერთაშორისო პარტნიორები |

# ძირითადი მესიჯები

### წევრები

- ძლიერი ინსტიტუციის ძლიერი წევრები
- მთავრობის პოლიტიკისა და საქმიანობის მაკონტროლებელი ინსტიტუცია
- ამომრჩევლების ინტერესებისა და საჭიროებების გამტარი

### მოსახლეობა

- მოსახლეობის ინტერესების დამცველი
- ხალხის ხმა კანონშემოქმედებით პროცესში
- ხალხის ინტერესების გამტარი, აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლში
- დამატებითი კარიერული განვითარების შესაძლებლობა ახალგაზრდებისათვის
- ხელმისაწვდომი და ინკლუზიური უწყება
- მონაწილეობითი პროცესებისთვის გახსნილი უწყება

### მედია

- ღია და დიალოგისთვის მზად მყოფი ინსტიტუცია
- რეგიონის პრიორიტეტებზე ორიენტირებული ორგანო
- საზედამხედველო ფუნქციის ეფექტური შემსრულებელი ინსტიტუცია
- ხალხის ინტერესების გამტარი უწყება კანონშემოქმედებით პროცესში

### სახელმწიფო სტრუქტურა

- მოსახლეობის და რეგიონის საჭიროებების გამტარი უწყება
- თანამშრომლობისთვის მზად მყოფი უწყება საერთო მიზნებისთვის
- რეგიონის საჭიროებებზე დაფუძნებული საზედამხედველო საქმიანობის განმახორციელებელი

### პარტნიორები

- მოსახლეობის ინტერესების გამტარი ძლიერი ინსტიტუცია
- წლიერი უწყება რეგიონის პრობლემების გადაჭრაში
- მთავრობის საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანო
- ხელმისაწვდომი და ინკლუზიური უწყება
- მონაწილეობითი პროცესებისთვის გახსნილი უწყება
- საუკეთესო პრაქტიკის გამომყენებელი უწყება

# საკომუნიკაციო არხები

### წევრები

- შიდა საკომუნიკაციო პლატფორმა
- ელ-ფოსტა

### მოსახლეობა

- ტელევიზია
- ვებ-გვერდი
- აჭარის უმაღლესი საბჭოს სოც მედია არხები
- აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრების სოც მედია არხები
- სხვა ინტერნეტ პლატფორმები
- ბეჭდური მასალა
- პირდაპირი საკომუნიკაციო არხები - შეხვედრები, პრეზენტაციები და საკომიტეტო მოსმენები
- წლიური საქმიანობის ანგარიში

### მედია

- პრეს-რელიზები
- ვებ-გვერდი
- აჭარის უმაღლესი საბჭოს სოც მედია არხები
- აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრების სოც მედია არხები
- შეხვედრები, პრეს-კონფერენციები
- წლიური საქმიანობის ანგარიში

### სახელწიფო სტრუქტურა

- პირდაპირი საკომუნიკაციო არხები - შეხვედრები, პრეზენტაციები და საკომიტეტო მოსმენები
- ბეჭდური მასალები
- ელ-ფოსტა
- წლიური საქმიანობის ანგარიში

### პარტნიორები

- პირდაპირი საკომუნიკაციო არხები - შეხვედრები, პრეზენტაციები და საკომიტეტო მოსმენები
- ბეჭდური მასალა
- ელ-ფოსტა
- წლიური საქმიანობის ანგარიში

# სტრატეგიული მიზნები

საბჭოს შიგნით ინფორმაციის უწყვეტი ციკლის უზრუნველყოფა და შიდა ორგანიზაციული კულტურის შექმნა

ინკლუზიური გარე საკომუნიკაციო სისტემის ჩამოყალიბება

საბჭოს რეპუტაციის ამაღლება

## სტრატეგიული მიზანი N1: საბჭოს შიგნით ინფორმაციის უწყვეტი ციკლის უზრუნველყოფა და შიდა ორგანიზაციული კულტურის შექმნა

*აჭარის უმაღლესი საბჭოს აქვს გამართული შიდა საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც შეუფერხებლად უზრუნველყოფს ყველა ჩართული მხარის ინფორმირებულობას და ხელს უწყობს საბჭოს ძირითადი საქმიანობის ეფექტურ შესრულებას;*

*მას გააჩნია ძლიერი კორპორაციული კულტურა, რომლის მეშვეობითაც საბჭოს ყველა თანამშრომელი თავს გრძნობს დაფასებულად, საჭიროდ და ძლიერი ინსტიტუციის წევრად.*

1.1. საბჭოს წევრებსა და თანამშრომლებს შორის **ინფორმაციის სწრაფი მიმოცვლის** სისტემის ჩამოყალიბება

1.2. აჭარის უმაღლეს საბჭოში **შიდა საკომუნიკაციო პლატფორმების** და კომუნიკაციის მექანიზმების გაუმჯობესება

1.3. შიდა ორგანიზაციული კომუნიკაციის მიდგომების შემუშავება, რომელიც გაზრდის **თანამშრომლების ლოიალობას** და გაამყარებს საბჭოს, როგორც **სასურველი და პრესტიჟული დამსაქმებლის** იმიჯს თანამშრომლებს შორის

1.4. სტრატეგიული კომუნიკაციის მიმართულებით **ძლიერი გუნდის** ჩამოყალიბება და მუდმივი განვითარება

სტრატეგიული მიზანი N2:

## ინკლუზიური გარე საკომუნიკაციო სისტემის ჩამოყალიბება

*აჭარის უმაღლესი საბჭო ახორციელებს შედეგზე ორიენტირებულ, ინკლუზიურ და სეგმენტირებულ კომუნიკაციას სხვადასხვა მხარესთან. აქტიურად იყენებს სამოქალაქო ჩართულობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს ღიაობას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ანგარიშვალდებულებას.*

2.1. მოქალაქეთა ჩართულობის **ინტერაქტიული მექანიზმების** შემუშავება, დანერგვა და მოქალაქეთა უკუკავშირი

2.2. საბჭოს ფუნქციების შესახებ **მედიასთან კომუნიკაციის** გაძლიერება

2.3. **ადგილობრივ და საერთაშორისო სტრატეგიულ პარტნიორებთან** მჭიდრო და თანმიმდევრული კომუნიკაცია

2.4. **ადგილობრივ და ცენტრალურ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან** სისტემური და კოორდინირებული ინფორმაციის მიმოცვლის პროცესის ჩამოყალიბება

სტრატეგიული მიზანი N3:

## საბჭოს რეპუტაციის ამაღლება

*აჭარის უმაღლეს საბჭო სარგებლობს პოზიტიური იმიჯით, აქვს ძლიერი რეპუტაცია შიდა და გარე სამიზნე აუდიტორიაში.*

3.1. აჭარის უმაღლესი **საბჭოს როლისა და ფუნქციების** შესახებ **ცნობადობის** გაზრდა

3.2. მიზნობრივ ჯგუფებში საბჭოს **საქმიანობის შესახებ ცნობადობის** ამაღლება მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით

3.3. არსებული **ჩართულობის მექანიზმების პოპულარიზაცია** მიზნობრივი ჯგუფების მიხედვით